

შპს „თ & დ“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

სპეციალური დანიშნულების მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	7
1. კორპორატიული ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	8
5. შემოსავალი რეალიზაციიდან	12
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12
7. ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	12
8. საინვესტიციო ქონება	13
9. ფული და ფულის ექვივალენტები	13


შპს „თ & დ“

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ცხრილებში მოცემული თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2021 (არა აუდიტირებული)	2020 (არა აუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან		3,749,196	3,002,619
სხვა საოპერაციო შემოსავალი		4,221	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1,952,746)	(1,502,780)
საერთო მოგება		1,800,672	1,499,839
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	6	(1,264,812)	(1,173,075)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(730,779)	(683,973)
ფინანსური ხარჯი		(81,677)	(67,060)
მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	7	16,928	11,107
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		33,070	5,143
მოგება გადასახადის გადახდამდე		(226,597)	(408,019)
მოგების გადასახადი		(82,297)	(118,559)
წმინდა მოგება/(ზარალი)		(308,895)	(526,577)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია დირექტორის მიერ 2022 წლის 17 სექტემბერს.




მამუკა საბაშვილი
დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2020
	შენიშვნა (არააუდიტირებული)	(არააუდიტირებული)	(არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
მირითადი საშუალებები	8	328,871	449,989
არამატერიალური აქტივები		47,465	41,251
სხვა გრძელვადიანი აქტივები		55,330	55,330
სულ გრძელვადიანი აქტივები		431,666	546,570
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	9	366,001	283,041
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		81,426	178,255
მარაგები		1,043,501	1,645,814
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		186,924	100,313
სხვა მიმდინარე აქტივები		135,276	73,288
სულ მიმდინარე აქტივები		1,813,128	2,280,711
სულ აქტივები		2,244,795	2,827,282
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,019,016	2,164,847
გაუნაწილებელი მოგება		(845,639)	(536,743)
სულ კაპიტალი		1,173,378	1,628,104
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები და მიღებული ავანსები		436,127	402,706
ვალდებულებები პერსონალის მიმართ		2,313	12,515
მოკლევადიანი სესხი		556,764	690,117
მიღებული ავანსები		56,494	72,981
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება		19,719	20,858
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,071,417	1,199,177
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2,244,795	2,827,282

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია დირექტორის მიერ 2022 წლის 17 სექტემბერს.



მამუკა საბაშვილი
დირექტორი

შპს „თ & დ“


2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ცხრილებში მოცემული თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიში

(არააუდიტირებული)	კაპიტალის საწყისი ნაშთი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 01 იანვარი 2020	2,172,747	(10,166)	2,162,582
კაპიტალის ცვლილება	(7,900)	-	(7,900)
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(526,577)	(526,577)
გადახდილი დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 01 იანვარი 2021	2,164,847	(536,743)	1,628,105
კაპიტალის ცვლილება	(145,831)	-	(145,831)
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(308,895)	(308,895)
გადახდილი დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	2,019,016	(845,639)	1,173,378

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია დირექტორის მიერ 2022 წლის 17 სექტემბერს.



მამუკა საბაშვილი
დირექტორი

შპს „თ & დ“

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ცხრილებში მოცემული თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2021	2020
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	502,442	221,065
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(227,519)	(137,644)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(189,065)	(8,632)
წმინდა ზრდა/კლება ფულსა და ფულის ექვივალენტებში	85,858	74,789
სავალუტო რისკის ეფექტი	2,898	-
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	283,041	208,253
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	366,001	283,041

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია დირექტორის მიერ 2022 წლის 17 სექტემბერს.



მამუკა საბაშვილი
დირექტორი

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს თ & დ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2018 წლის 18 მაისს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 402087763.

ძირითადი საქმიანობა. შპს „თ & დ“ ფლობს კორეული ბრენდის „იოიოსო“-ს ფრენჩაიზს. მისი ძირითადი საქმიანობაა ყოველდღიური მოხმარების ხასიათის ნივთების იმპორტი და რეალიზაცია. იოიოსოს ძირითადი კატეგორიებია: თავის მოვლა და მაკიაჟი, სათამაშოები, წვრილი ტექნიკა, ტელეფონის აქსესუარები, სამზარეულოს აქსესუარები და აბაზანის აქსესუარები.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, აღმაშენებლის გამზირი 158.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე, როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის წილის მფლობელები არიან:

37001002810, ლარისა გეგეჭკორი 50%

01024001735, თამარ ჭუმბურიძე 50%

ინვესტიციები: კომპანიას არ ჰყავს შვილობილი საწარმო და კონსოლიდირებული ანგარიშგების წარდგენა არ ევალება.

2. მომზადების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის შპს „თ & დ“ მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიას ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები, რადგან ორგანიზაცია ეწევა პროდუქციის იმპორტს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიწოდებული პროსდუქციის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები, ეს მხოლოდ, იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

• **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

• **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის დროს.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ტრანსპორტი	5-15
მანქანა-დანადგარები	10-20
ოფისის აღჭურვილობა	2-10

არამატერიალური აქტივები.

• **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

• **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგალითად: როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. მარაგები აერთიანებს ისეთი აქტივებს, რომლებიც შესყიდულია ან წარმოებულია გასაყიდად, ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალის სახით, რომელიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. მაგალითად მანქანა დანადგარების სათადარიგო ნაწილები, სარემონტო მასალები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად მანამ, სანამ არ დააკმაყოფილებს შესაბამის განმარტებას, ეს იქნება ძირითადი საშუალება თუ მიმდინარე პერიოდის ხარჯი. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულებისა გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკებით,

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს FIFO მეთოდს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს რეალიზებული პროდუქციის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში;
- არარსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებები რისკის მატარებელია.

• **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი

ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
ხელფასის ხარჯი	(295,566)	(341,907)
საკანცელარიო ხარჯი	(2,465)	(3,578)
საკონსულტაციო ხარჯი	(10,309)	(10,195)
დაზღვევა	(16,088)	(26,418)
მომსახურების ხარჯი	(217,730)	(44,782)
მივლინების ხარჯი	(28)	(1,886)
ავტომანქანის საექსპლუატაციო ხარჯი	(10,860)	(14,059)
ცვეთა და ამორტიზაცია	(137,353)	(144,999)
სხვა ხარჯი	(40,379)	(96,148)
ჯამი	(730,779)	(683,973)

6. მიწოდების და მომსახურების ხარჯები

	2021	2020
ხელფასის ხარჯი	(284,127)	(304,773)
იჯარა	(750,417)	(656,235)
მარკეტინგული ხარჯი	(51,588)	(69,624)
კომუნალური ხარჯი	(127,617)	(87,734)
სამეურნეო ხარჯი	(6,559)	(13,136)
საბანკო მომსახურების ხარჯი	(44,505)	(41,145)
საწვავის ხარჯი	-	(429)
ჯამი	(1,264,813)	(1,173,075)

7. მოგება/ ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან

	2021	2020
დადებითი საკურსო სხვაობა	60,479	125,091
უარყოფითი საკურსო სხვაობა	(43,550)	(113,984)
ჯამი	16,928	11,107

შპს „თ & დ“

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ცხრილებში მოცემული თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში

8. საინვესტიციო კონება

	ელექტრონ. მოწყობილობა	ავეჯი	სხვა	ჯამი
ნაშთი 01-01-2021	221,741	344,773	115,706	682,220
დამატება	5,133	(21,342)	15,320	(890)
ნაშთი 31-12-2021	226,874	323,421	131,025	681,331
ცვეთა				
ნაშთი 01-01-2021	(74,726)	(99,863)	(45,709)	(220,295)
წლის დარიცხვა	(44,318)	(61,272)	(26,574)	(137,238)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკ. 2021 წელი	(119,045)	(161,136)	(72,279)	(352,460)
საბალანსო ღირებულება 31 დეკ. 2021 წელი	107,809	162,295	58,746	328,871

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები, 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2021	2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	24,681	26,776
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	340,992	206,819
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	277	49,395
ჯამი	366,001	282,990

მამუკა საბაშვილი

დირექტორი